ერი, ქვეყნის უზენაესი სუვერენი

გიული ძიძიგური
სტუ-ს ასოც. პროფესორი

აგრარული რეფორმა ნებისმისერი ქვეყნის ისტორიაში ეპოქალური მნიშვნელობის აქტია. არსებითად სწორედ იგი განსაზღვრავს ქვეყნის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ხასიათისა და განვითარების შემდგომ მიმართულებებს. რეფორმების დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორება ან ვეღარ ხერხდება და თუ ხერხდება, როგორც წესი, უდიდესი სულიერი და მატერიალური დანაკარგების ხარჯზე. მოსალოდნელი შეცდომების ასაცილებლად ქართველ „რეტროგრად“ მეცნიერთა მცირე ნაწილმა რეფორმის საწყის ეტაპზევე შევთავაზეთ რეფორმატორებს სათანადო რეკომენდაციები. ხელისუფლებამ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, უცხოელთა უცხოურ, მაგრამ არც მთლად საუცხოო რეკომენდაციების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.. დღეს სრულიად აშკარაა, რომ ასეთი არჩევანი არც პოლიტიკური სიბრიყვით და არც უცხოურისადმი ტრადიციული პროვინციული თაყვანისცემით არ იყო განპირობებული. ხელისუფლება გაცილებით პრაგმატული, მიწიერი და იმავდროულად ბიწიერიც აღმოჩნდა, ვიდრე ეს ვინმეს შეეძლო წარმოედგინა. რეფორმატორთა მოწინავე იდეები მიწის რეფორმამ ვერ დაიტია. აგრარული რეფორმა აგრარულ რევოლუციაში გადაიზარდა. ერთდროულად და ჭეშმარიტად რევოლუციური ტემპით მიმდინარეობს ეროვნული სიმდიდრის ტოტალური პრივატიზება და ინტერნაციონალიზაცია.

ის, ვინც ისტორიას ზერელედ მაინც იცნობს, დაგვეთანხმება, რომ უჩვეულო არაფერი მომხდარა. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული მოვლენები წარიმართა მკვეთრი იდეოლოგიური დაპირისპირების ფონზე.

ცნობილია ისიც, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე ნებისმიერი იდეოლოგიის თანამდევი ავადმყოფობაა საყმაწვილო სენი. ამ სენით შებყრობილი იდეოლოგიის ძირითადი საბრძოლო იარაღი ლიბერალური ტერორია. ტერორის ამ „უსისხლო“ და „უწყინარი“ ფორმის ტექნოლოგია მეტისმეტად მარტივია: ღირებულებათა გარკვეული სისტემა a prior ცხადდება მოწინავედ, პროგრესულად. ამის შემდეგ ყველაზე უმეცარი იდეაც კი, რომელსაც პროგრესულის საფირმო იარლიყი აქვს მიწებებული, კრიტიკისთვის შეუვალი ხდება. ნებისმიერი საპირისპირო მოსაზრება, ყოველგვარი განსჯის გარეშე, ავტომატურად ცხადდება მოძველებულად, ჩამორჩენილად, რეგრესულად, რეტროგრადულად, დახავსებულად და ა.შ. ასეთ რანგში აყვანილი იდეა, როგორც წესი უძლეველი მატერიალური ძალა ხდება, რომელიც ყველას და ყველაფერს ანადგურებს თავის გზაზე.

ლიბერალური ტერორის ეფექტს სოციალური ფსიქოლოგიაც აპირობებს. ადამიანს არ უჭირს ეკონომიკური სიდუხჭირის საჯაროდ აღიარება, მაშინ როცა ინტელექტუალურ სიმწირეს, როგორც წესი საგულდაგულოდ ნიღბავს (გავიხსენოთ ანატოლ ფრანსის მოსწრებული ხუმრობა – ღმერთმა ყველაზე სამართლიანად ჭკუა გაანაწილა, უჭკუობას არავინ უჩივის, უფულობას ყველა).

როცა პიროვნება დამოუკიდებლად ვერ ახერხებს ამა თუ იმ პრობლ;ემის გაცნობიერებას, საკუთარი სტატუსის დაცვის მიზნით, უყოყმანოდ იზიარებს „მოწინავე“, „პროგრესულ“, „ელიტურ“ პოზიციას.

ლიბერალური ტერორი საქართველოშიც არაერთხელაა აპრობირებული. ევროპის „მოწინავე“ იდეებით შეიარაღებულმა სოციალდემოკრატებმა „დამყაყებული ეროვნული იდეოლოგიის“ ერთგულებისათვის ჯვარს აცვეს „რეტროგრადი“ ილია. „როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა“, სხვა რა დასკვნა უნდა გამოეტანათ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციითა და ინტერნაციონალიზმით აღტყინებულ რევოლუციონერებს. ამასობაში მოწინავე ევროპამ, თავისი „მოწინავე იდეები“ აზიის სანაგვეზე მოისროლა, თვითონ კი თავის „ვიწრო ეროვნულ ნაჭუჭში“ ჩაიკეტა.

გადავხედოთ ქართული ლიბერალიზმის განვლილ გზას. მამები ყველაზე მეტად სწორედ ლიბერალობისათვის კიცხავდნენ (მაპატიეთ უხიაგო სიტყვების გამეორება) „ბურთივით მრგვალ“ ილიას. მომდევნო თაობის მამათა და შვილთა დაპირისპირებაში შვილებმა, პირიქით,

არასაკმარის ლიბერალობაში, უფრო მეტიც, ლიბერალიზმის ღალატში „ამხილეს“ ილია. ბევრი უმტკიცა ილიამ შვილებს, თქვენ ლიბერალები კი არა, სუტ-ლიბერალები (სუტ-კნეინასთან ანალოგიით), თანამედროვე ტერმინოლოგიით ფსევდო-ლიბერალები ხართო, მაგრამ ამაოდ დაშვრა – ვერაფერი შეასმინა შვილებს.

დღეს, როცა ილიას ავტორიტეტი საყოველთაოდაა აღიარებული, როცა თითქოს ყველა თანხმდება, რომ ილია წარსულის კი არა მომავლის მოაზროვნეა, მომავლის გზამკვლევია, როცა ლოზუნგიც კი გაჩნდა – წინ, ილიას გზით!

არ ვიცით რა ახსნა მოვუძებნოთ აღვირახსნილ და ცეტად მოკუნტრუშე ქართულ ლიბერალიზმს. არც ის ვიცით, რა დავარქვათ ილიას სახელით ილიას წინააღმდეგ ბრძოლას – ფარისევლობა, უმეცრება თუ უსინდისობა, თუ სამივე ერთად?

ერთი სიტყვით, ქართული ლიბერალიზმის დაღვინებას საშველი არ დაადგა. უფრო მეტიც, ქართველ რევოლუციონერ-რეფორმატორთა ყმაწვილკაცურ ასაკსაც თუ გავითვალისწინებთ, ისინი კიდევ დიდხანს ვერ მოიხდიან საყმაწვილო სენს. არადა ლიბერალური ტერორის დაძლევის გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. ისიც მეეჭვება, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ სფეროში რაიმე რადიკალურად შეცვალოს, რადგან ახალთა საკმაოდ დიდი ნაწილი საკუთრების უფლების ფსევდოლიბერალური ინტერპრეტაციით დიდად არ განსხვავდება წინამორბედთაგან.

აღნიშნულის მიუხედავად, ვგონებთ, ლიბერალური ტერორის პიკმა, ეპიდემიამ თუ პანდემიამ ჩაიარა და დიდი ხნის წინ შეწყვეტილი კამათის განახლებამ შეიძლება მოგვცეს რაიმე, თუნდაც მცირე, პოზიტიური შედეგი.

ლიბერტანიანელებს, წინასწარ გვინდა, შევუთანხმდეთ თამაშის წესებში. საჯაროდ ვაცხადებთ – არც კომუნიზმს მივტირი, არც ფეოდალიზმს და მით უფრო არც ქვის ხანას. არც ევროპული ღირებულებების, მათ შორის ლიბერალიზმის საწინააღმდეგო გვაქვს რამე, არც საბაზრო ეკონომიკისა და კერძო საკუთრების. ასე რომ, მოსალოდნელ ოპონენტებს იაფფასიანი დემაგოგიის იმედად დარჩენას არ ვურჩევთ.

მიწა საკუთრების განსაკუთრებული ობიექტია. განსაკუთრებულია იმით, რომ ერთი და იგივე მიწა საკუთრების ობიექტიცაა, წარმოების საშუალებაც და სახელმწიფო ტერიტორიაც. შესაბამისად, საკუთრება მიწაზე იურიდიული აზრით პიროვნების ნივთთან ურთიერთობაა. ეკონომიკური აზრით, წარმოებითი ურთიერთობა, ხოლო პოლიტიკური აზრით სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი.

მიწის საკუთრება, როგორც პოლიტიკური კატეგორია, მისი სწორი დეფინიციის შემთხვევაში, იმდენად მარტივი და ნათელია, რომ არავითარ დავას არ უნდა იწვევდეს. აღნიშნულის მიუხედავად ქართული კანონმდებლობა, საკმაოდ გვარიანად, სწორედ ამ ნაწილში მოიკოჭლებს.

ცნობილ დებულებებს – „მიწა ეროვნული სიმდიდრეა“ და „მიწის უზენაესი მესაკუთრე სახლემწიფოა“ მიწის ქართული რეფორმის ერთ-ერთი შემოქმედი – ლადო ჭანტურია ასეთ კომენტარს ურთავს: „პირველი დებულება პოლიტიკური დეკლარაციაა და მიწის რეფორმის პროექტში მისი გამოყენება უადგილოდ მიმაჩნია, რაც შეეხება მეორე დებულებას იგი ე.წ. „ზესაკუთრების“ ცნებას უკავშირდება, რომელსაც კონტინენტური სამართალი უკვე ორ საუკუნეზე მეტია არ აღიარებს“[1].

კომენტარიდან აშკარად ჩანს, რომ კანონმდებელს არასწორად ესმის აღნიშნულ დებულებათა შინაარსი. იგი მათში განსხვავებულ სემანტიკას დებს, მაშინ როცა საქმე ეხება აბსოლუტურად იდენტური შინაარსის კატეგორიებს.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მიწაზე, როგორც სახელმწიფო ტერიტორიაზე, მესაკუთრის პრეტენზიას აცხადებს ერიც („მიწა ეროვნული სიდიდრეა“) სა სახელმწიფოც („მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფოა“). სინამდვილეში აქ არავითარ პარადოქსთან, არავითარ ორ დამოუკიდებელ მესაკუთრესთან არ გვაქვს საქმე. ამ „წინააღმდეგობის“ ახსნა დიდ გამჭრიახობას არ მოითხოვს. **<u>პირველ შემთხვევაში საქმე ეხება საკუთრების ერთადერთ და ჭეშმარიტ სუბიექტს – ერს, ხოლო მეორე შემთხვევაში ნაცვალსუბიექტს – სახელმწიფოს, რომელიც მხოლოდ ერის ნებით და ერის სახელით ახორციელებს ერის, როგორც უზენაესი მესალუთრის უფლებებს საერთაშორისო ურთიერთობებში.</u>**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალსუბიექტი არ მოიცავს მხოლოდ ფიზიკურად არსებულ თაობებს. ეროვნული სამართალშეგნება ასევე სამართალსუბიექტებად სცნობს ფიზიკურად აღარ არსებულ და ჯერ კიდევ არ არსებულ თაობებსაც. სახელმწიფო ტერიტორია სწორედ იმიტომ ითვლება **ერთიან, განუყ-**

ოფელ და განუსხვისებად საკუთრებად, რომ ჩვენთან ერთად გარდასული და მომავალი თაობებიც პრეტენზიას აცხადებენ მასზე. სწორედ ამიტომ, არც ერთ თაობას და მით უფრო ხელისუფლებას არ აქვთ უფლება საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული განუსხვისოს შთამომავლობას.

ლ. ჭანტურიას განვუმარტავთ: ის ფაქტი, რომ ევროპის კონტინენტური სამართალი ორ საუკუნეზე მეტია არ აღიარებს „ზესაკუთრების“ ცნებას, უკავშირდება საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რომელმაც უზენაესი მონარქის ნებას, ერის უზენაესი ნება დაუპირისპირა. მას შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრებას არსებითად ერის ნება განსაზღვრავს და სახელმწიფო მოწყობასაც იგივე პრინციპი (დემოკრატია) უდევს საფუძვლად.

ქვეყნის ტერიტორიის უზენაესი მესაკუთრე – ერი და მისი ნაცვალსუბიექტი – სახელმწიფო ხელისუფლება, თითოეული ცალ-ცალკე და ორივე ერთად ერთხელ და სამუდამოდ თანხმდებიან მკერდით დაიცვან სახელმწიფო ტერიტორიის თითოეული გოჯი.

სახელმწიფო ტერიტორიისგან სრულიად განსხვავებულ შინაარს ატარებს მიწაზე ნაციონალური, იგივე საერთო-სახალხო, იგივე სახელმწიფო საკუთრება.

მიწის კერძო საკუთრების უპირატესობა საერთო-სახალხო საკუთრებასთან შედარებით ისტორიულად დადასტურებული ფაქტია და ამაზე დღეს არავინ დავობს. აღნიშნულის მიუხედავად მიწის საერთო-სახალხო საკუთრების მთლიანი დენაციონალიზაცია შეუძლებელია და ასეთი რამ ჯერ არსად მომხდარა. დროის რა მონაკვეთში, როგორი თანამიმდევრობით, რა ფორმითა და მოცულობით უნდა მომხდარიყო საერთო-სახალხო ქონების დენაციონალიზაცია, ხელისუფლების კი არა, იმ ხალხის გადასაწყვეტი იყო, რომელიც ითვლებოდა და დღესაც ითვლება აღნიშნული ქონების იურიდიულ მესაკუთრედ. ამ შემთხვევაშიც ზემოთ განხილული სქემა მეორდება. ნაციონალიზებული მიწის მესაკუთრეც ხალხია. მაგრამ ამჯერად არა საჯარო-პოლიტიკური, არამედ სამოქალაქო სამართლის ძალით. ხალხის ეს უფლებები დელეგირებული აქვს ხელისუფლებას და მხოლოდ ამ გაგებითაა ეს მიწა სახელმწიფო საკუთრება. დელეგირებული აქვს იმ პირობით, რომ ხელისუფლება, უწინარეს ყოვლისა, იმოქმედებს ხალხის სახელით. ხალხი კი უნდა გავაფრთხილოთ, რომ ყველაზე დიდ უმსგავსობას ხელისუფალნი სჩადიან სწორედ ხალხის სახელით. ამიტომ თუ არ გვინდა ქვეყანა დაგვენგრეს „ჩვენივე ნებითა და ჩვენივე სახელით“, მართლაც გამოვიჩინოთ ნება და ხელისუფლებას კატეგორიულად მოვთხოვოთ დაუყონებლივ შეწყვიტოს ჩვენივე სახელით ჩვენი ქონების განკარგვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პრეზიდენტმა პარლამენტს „გამოსთხოვა“ უფლება პირდაპირი წესით სიმბოლურ ფასად გაასხვისოს ქართული მიწა-წყალი უცხოეთის მოქალაქეებზე.

უაღრესად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ხალხი ბოლომდე ვერ აცნობიერებს საკუთარ უფლებებს. „მშობლიური“ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის „წყალობას“ დაჩვეული ხალხი, დღესაც ნორმად აღიქვამს ხელისუფალთა საპარადო გამონათქვამებს – „მიწა უფასოდ დავურიგეთ ხალხს“, „მიწა ვაჩუქეთ ხალხს“ და ა.შ. მსგავსი აპლომბი ბაგრატიონთა საგვარეულოსაც არ ექნებოდა, სამეფო დომენის პრივატიზაციაზეც რომ მიმდგარიყო საქმე.

როცა საქმე იმდენად მნიშვნელოვან პრობლემას ეხება, რომელმაც შეიძლება საუკუნეების მანძილზე განსაზღვროს ქვეყნის ბედი, ხალხი, თუ მას გააჩნია თუნდაც ელემენტარული პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ამ პრობლემის გადაჭრას რამდენიმე წლით არჩეულ ხელისუფლებას არ ანდობს. ამ შემთხვევაში დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხი უშუალო დემოკრატიის განხორციელებას ანუ რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს. დემოკრატიული ხელისუფლება რეფერენდუმის ჩატარებას არა თუ არ ეწინააღმდეგება, პირიქით, მისი ორგანიზების ვალდებულებასაც იღებს. ამით მას საშუალება ეძლევა უშუალოდ გაეცნოს ხალხის აზრს, საბედისწერო შეცდომა რომ არ დაუშვას უნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ეს ასე კეთდება დემოკრატიულ საზოგადოებებში, იქ, სადაც ხალხის მმართველობა რეალურ შინაარს ატარებს,მაგრამ იქ, სადაც დემოკრატია ცინიზმამდეა დაყვანილი (გადავხედოთ პოსტკომუნისტურ მინიმონარქებს), მხოლოდ ერთი ნაბიჯია დარჩენილი იმ დეფინიციამდე ლუი XIV-ს რომ ეკუთვნის: „სახელმწიფო ეს მე ვარ!“ ან არის კი ის ერთი ნაბიჯიც დარჩენილი?!

თანამედროვე საზოგადოებებში ნაციონალური ქონება, მათ შორის, ცხადია, მიწაც, განსხვავებული პროპორციით ნაწილდება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტზე, იმის მიხედვით, თუ როგორია სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. სახელმწიფოს ცალკეულ სექტორზე იურიდიული მესაკუთრის ფუნქციას ახორციელებენ ცენტრალური, ავტონომიური, სამხარეო, რაიონული, მუნიციპალური თუ სასოფლო სახელისუფლო სტრუქტურები. ცენტრალური ხელისუფლება, როგორც წესი, სა-

გამგეოდ იტოვებს ეროვნული მასშტაბით სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორს. დანარჩენი სექტორი ზემოთაღნიშნული თანამიმდევრობით სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულიების იურისდიქციაში გადადის. ვიმეორებთ: სახელმწიფო სექტორი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების განუყოფელ საგამგეო ერთეულად. სახელმწიფო სექტორის დაყოფის შემდეგ, საკუთრების ასევე სრულუფლებიანი ნაცვალსუბიექტები ხდებიან იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე განლაგებული სახელისუფლებო სტრუქტურები.

კონკრეტულ მაგალითზე განვმარტავ ნათქვამს. მხოლოდ სოფლის საზოგადოებისა და სოფლის თვითმმართველობის ერთობლივად გადასაწყვეტია სოფლის საზოგადოებრივ საკუთრებაში დარჩენილი მიწისა და სხვა საერთო ქონების ბედი, კერძოდ, კვლავ სოფლის საერთო სარგებლობაში დატოვონ იგი თუ ცალკეულ კომლებზე გადაანაწილონ. ადმინისტრაციულად მასზე მაღლა მდგომ არც ერთ სტრუქტურას, მათ შორის ცენტრალურ ხელისუფლებასაც ამ სფეროში არაფერი ეკითხება.

ცნებების: „სახელმწიფოს უზენაესი საკუთრება“, „სახელმწიფო საკუთრება“, „საერთო-სახალხო საკუთრება“, დამთხვევა საბჭოთა სისტემაში იღებს სათავეს, რამდენადაც ისინი ფაქტობრივად ფარავდნენ ერთმანეთს.

სოცილისტური სახელმწიფო უნიკალური იყო სწორედ იმით, რომ მიწა ნაციონალიზებული ჰქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მეცნიერები სოციალისტურ სახელმწიფო საკუთრებაში დემაგოგიური შესატყვისით – საერთო-სახალხო საკუთრებაში, დიდი ხანია ხედავენ ძველაღმოსავლური საკუთრების (წარმოების აზიური წესი) ზუსტ ანალოგს. ასევე კარგადაა ცნობილი საკუთრების ამ ფორმის „პარადოქსი“, როცა მთელი მიწა ხალხის საერთო საკუთრებაა, სწორედ ხალხის საკუთრება არ არის არაფერი, ყველაფერი უპატრონოა და მხოლოდ ხალხს ჰყავს პატრონი (მერე როგორი პატრონი!).

საკუთრების ეს ფორმა დღეს იმდენად ოდიოზურია, რომ მის პირველქმნილი მშვენებით შენარჩუნება ვერც ერთმა პოსტკომუნისტურმა რეჟიმმა ვერ შეძლო.

საქართველოს პოსტკომუნისტურმა ხელისუფლებამ თანამედროვე ცივილიზაციას კუთვნილი მიუზღო და ეროვნული მასშტაბით კონცეტრირებული სახელმწიფოსაკუთრების ერთი ნაწილი კერძო საკუთრებად გარდაქმნა. რაც შეეხება სახელმწიფო ქონების დარჩენილ ნაწილს, მასზე საკუთრების საბჭოური დეფინიციაც და მისი მართვის პრაქტიკაც არსებითად უცვლელი დატოვა.

სახელმწიფო საკუთრების განუყოფელი მართვის, უფრო ზუსტად გასხვისების უფლება ხელისუფლებისათვის იმდნად სარფიანი აღმოჩნდა, რომ იმთავითვე ცხადი გახდა – ამ უფლებას ცოცხალი თავით არავის გადაუნაწილებდა. პრობლემა აქტუალობას დაკარგავს მხოლოდ მაშინ, როცა დასრულდება საერთო-სახალხო ქონების (იგივე „სახელმწიფო საკუთრების“) მთლიანი დენაციონალიზაცია და განსაკარგგასასხვისებელ-გასაჩუქებელი აღარაფერი დარჩება. „სანუგეშოდ“ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ეს მოხდება, როგორც ყოველთვის, (მერამდენედ ვიმეორებთ!) „ხალხის ნებითა და ხალხის სახელით“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „7 დღე”, №29 1993.

НАРОД – ВЕРХОВНЫЙ СУВЕРЕН СТРАНЫ

Г. ДЗИДЗИГУРИ
профессор ГТУ

В работе рассмотрена проблема национальной и государственной собственности. Отмечено, что как в научной литературе, так и в действующих памятниках законодательства, их содержание часто толкуется неправильно.

В работе уточнено, что верховным собственником государственной территории и государственного имущества является народ. Что касается государственной власти, она как субъект заменяет собой верховного собственника.